საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

კვირა, 16 ნოემბერი 1919 წ. № 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 120 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარეთან ბეჭდული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

მწუხარებასა შინა მყოფნი: ანდიფო ივანეს ასული მეუღლისა, ასულნი: ოლია ბურჯანაძისა, მარუსია, ლიუდა და გოგუცა, დედა სოფიო იესეს ასული, ძმები: ბესარიონ, სიმონ, ბეგლარ, კონსტანტინე, ასლან და ვლადიმერ, რძლები: მარიამ, ეფროსინე, ოლგა, ნინა, მარუსია და ლიდა ძელაშვილები, სიძე: კაპიტონ კონსტანტინეს ძე ბურჯანაძე, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შემდეგ ხანგრძლივი ავათმყოფობისა გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეოთხეს მამა, მესამეს შვილი, მეოთხენის ძმა, მეხუთენის მამა და მეექვსეს სიმამრი

ერმინე ოქროპირის ძე ძელაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება 15 ამა ნოემბერს (ახალი სტილით) დღით შაბათს სოფელ ობჩაში, უმორჩილესად გთხოვენ რათა მობრძანდეთ დანიშნულ დღეს და ანუგეშოთ ჭირისუფალი გარდაცვალებულისა. 2—1

13 ამა ნოემბერს, დილის 10 საათზე, გადაიცვალა ქ ქუთაისში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ

დავით ნიკოლოზის ძე

აბდუშელიშვილი,

რასაც უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობნი მეუღლე გადაცვალებულისა ეკატერინე თეიმურაზის ასული აბდუშელიშვილისა, ქალიშვილები ანასტასია ვირსალაძისა, თამარა დემიდოვისა, ნინა მამრაძ სა და ელისაბედ (ფუცა) აბდუშელიშვილი და სიძეები სპირიდონ სვიმონის ძე ვირსალაძე, ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვი და პეტრე გრიგოლის ძე მამრაძე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე, საკუთარ სახლში, რესპუბლიკის (ოლდენბურგის) ქუჩაზე. დაკრძალვა მოხდება 18 ნოემბერს დღით სამშაბათს ნაშუადღევის სამ საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე. 2—2

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას 16 ნოემბერს დილით 10 საათზე ბაგრატის ტაძრის გვერდით არსებულ ყოფილ საკათედრო ტაძარში შესრულდება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ამა საზოგადოების საპატიო წევრის ცნობილი საზოგადო მოღვაწის

კირილე ბექანის ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო. 2—2

თბილისუფალი ხელოვანი, რომელმაც დამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია

პროფესორ კუსკოვის—სტანისლავსკის ხელმძღვანელობით, აძლევს მუსიკის (როიალზე) გაკვეთილებს.

მისამართი: ბაღის ქუჩა სახლი მესროპოვისა **ნაკაშიძე.**

5—4

მაქვს საკანტორო-სამაღაზიო კარგი ადგილი

ქალ. ბათომში, სადაც შეიძლება ფართო აღებ-მიცემობის გახსნა. ამისათვის ვეძებ გამოცდილ ამხანაგს არა ნაკლებ 200,000 მანეთისა თანხით. მოლაპარაკება შეიძლება კვირას 12—2 საათამდი სასტუმრო „ერმიტაჟის“ კანტორაში და შემდეგ ბათომშივე სადგურის პირდაპირ, რესტორან „გრუზიაში“. 1—1.

დათიკო თევზაძე.

კვირას 16 ნოემბერს ნაშუადღევის 5 საათზე

გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიაში დანიშნულია ამავე გიმნაზიაში

მოსწავლეთა მშობლების კრება

მშობელთა წრის დასაარსებლათ. ეს კრება არის

ვესამე და უკანასკნელი,

ამიტომ ყველა მშობლებს ვსთხოვთ უსათუოდ დაესწრონ.

2—2 გიმნაზიის დირექტორი **ტრ. ჯაფარიძე.**

დაკარგე ბათუმიდან—ნატანებამდე უბნის საფულე დოკუმენტები სამი პასპორტი: 1) ადგილობრივი, 2) საზღვარგარეთელი 3) ბათუმში მყოფ ჩვენი ელჩის მიერ მოცემული; 4) ფულის გატანის ნებართვა საზღვარგარეთ და სამხედრო განთავისუფლების ბილეთი თავის სურათით ყოველ ზემო აღნიშნულ საბუთებს დღეის რიცხვიდან გაუქმებულათ ვაცხადებ.

ისაკ შაბათას ძე რიფინაშვილი.

2—1

საშინელი ბიუროკრატიზმი

მკითხველო! გთხოვ წაიკითხო გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ 15 ნოემბრის ნომერში „მაყურებლის“ წერილი.

უთიოდ წაიკითხავთ, თუ გნებავსთ დარწმუნდეთ, რომ საქართველოში დღეს უკიდურესი ბიუროკრატიზმია გამეფებული.

გელათის მონასტრისთვის ჩამოურთმევიათ ტყე. მონასტერმა ი ხოვა ნებართვა, მოეჭრა შეშა საზამთროდ. მარკები მოსთხოვეს. წარუდგინეს მარკები. მაგრამ პასუხს მილებას არა ეშველა რა. მიჰმართეს დეპეშით სამინისტროს. პასუხი თუმცა დაგვიანებული—იყო: მონასტერმა ნახევარი ბაჟი გადიხადოს და, თუ ტყე არ წახდება, შეშის მოჭრის უფლება მიეცესო.

საჭირო შეიქნა ადგილობრივი ტყის მცველის მოწმობა, რომ ტყე არ გაფუჭდებოდა. დაითანხმეს ტყის მცველიც.

მაგრამ საქმე უფროსმა ტყის მცველმა დააბრკოლა: განუცხადა მთავრობას: შეშის მოჭრა, ვიდრე ტყე არ დაიბეჭდება არ შეიძლებაო.

ტყე კი არ იბეჭდება და მონასტერი უშეშოდ რჩება.

ამგვარივე წამება გამოიარა ქუთაისის თვითმართველობამ, თუმცა შეშა მაინც ვერ იშოვა.

მაშ ქუთაისის მცხოვრებნი და გელათის მონასტრის მოსამსახურენი

დღიური.

პოლონეთში საალყო წესები გამოცხადდა.

ამერიკის მთავრობა ბოლშევიზმს სასტიკად ებრძვის. დააპატიმრეს 400 აგიტატორი.

გერმანიაში ლითონზე მომუშავეთა გაფიცვა დამთავრდა.

ბოლშევიკების ცნობით პარიზში არეულობა ხდება.

ამერიკა მოითხოვს რომ რუსეთის საკითხი კონფერენციაზე არ იყოს განხილული.

რევოლიუციის წლის თავზედ შეიდემანმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა.

— —

ასტრახანის მიმართულებით მოხალისეებმა ბოლშევიკებს ტარეკნოსაკენ დაახევიეს.

ბრიანის მიმართულებით მოხალისეებმა ქალაქ. დიმიტრიევი აიღეს.

ვორონეჟის მიმართულებით დონის ჯარი უტევს.

მოხალისეებმა კურლაკი აიღეს.

ვოლგის მიმართულებით ბოლშევიკებმა დასტოვეს პრიშიბი.

— —

კონოტოპოლსკის მიმართულებით ბოლშევიკებმა კროლოვეცი აიღეს.

ბოლშევიკები იამბურგს მიუახლოვდენ.

ომსკის და ჟიტომირის მიმართულებით ბოლშევიკები უტევან.

ესტონია ლატვია და ლიტვა ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას მართავენ.

ამერიკელები დეკემბრის დამლევს დასტოვებენ საფრანგეთს.

გურიაში აჯანყებს სრული ლიკვიდაცია მოხდა.

სიცივით უნდა ამოწყდენ იმისდა მიუხედავად, რომ ტყეებით გარშემორტყმული არიან!

ქუთაისის თვითმართველობა ჯერ მომარაგების კომიტეტთან გაეგზავნეს: მომარაგების კომიტეტმა მიუმისა ტყიბულის ტყე, რომელშიაც შეშის მოჭრა არ მოხერხდა. შემდეგ მიუთითეს აჯამეთზე, ბოლოს ნატანებზე.

დასასრულ რკინისგზამ ვაგონები ისე ძვირად დააფასა, რომ თვითმართველობამ შეშის მოტანა ვეღარ გაბედა.

და დავრჩით უშეშოდ ტყეების ქვეყანაში!

არა მგონია, ასეთი საშინელი ბიუროკრატიზმი სადმე სუფევდეს.

გვახსოვს, როგორი დაბრკოლება ვადაელობა წინ ქუთაისისავე თვითმართველობას სიმინდის შემოზიდვის საქმეში.

ნუ თუ წელსაც ასე იქნება?!

ნუ თუ ბიუროკრატიზმის სხვერპლი უნდა შევიქნეთ?

ჩემი ფიქრით, საჭიროა დღესვე იქნეს განხორციელებული შემდეგი ზომები:

1) საერობოსა და საქალაქო თვითმართველობას, წვრილთა თუ მსხვილთ, მთავრობის ცენტრალური დაწესებულებანი სწრაფად უნდა გამოეხმაურონ;

2) ხსენებულ თვითმართველობათ დიდი შეღავათი უნდა ჰქონდესთ მინიჭებული: უნდა ჰქონდესთ უფლება შეიძინონ სურსათი თუ შეშა, სადაც მოინდომებენ;

3) უნდა დაავალონ რკინის გზას, ერთისმად გაიაფოს თვითმართველობათა მიერ სურსათისა და შეშის გადაზიდვა;

4) ცენტრალური დაწესებულებანი მოვალე უნდა იყვნენ მიაწოდონ იაფად სურსათი და შეშა თავის მოსამსახურეებს.

5) ამგვარი პრივილეგია უნდა მიეცეს სასულიერო უწყებასაც.

ნუ ჩავიხრჩობით ბიუროკრატიზმის მორევში!

მეტი თავდარიგიანობა და საქმიანობაა საჭირო!

ნესტარი.

გამოცდილებაც კარგია!

ბურჟუაზიულ წესწყობილებაში სოციალისტურ მიმართულებას დიდი გასავალი ქონდა. ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალისტებს ქადაგება ძლიერ ემარჯვებოდათ, მართლა ბევრი ქონდათ, ოპოზიციაში დგომა ხელს უწყობდათ და ამგვარათ ნიადაგი მოიპოვეს. რევოლიუცია ხომ სოციალისტებ სათვის ნანატრი ასპირეზია და იმაზე უკეთეს შემთხვევას ხომ აზრითაც ვერ წარმოიდგენენ, არა თუ თვალით იხილვენ. ამიტომაც ბურჟუაზიულ ხანაში ფეხმოდგმული რევოლუციის დროს სულ ადვილათ გავრცელდა და უპირატესობაც მიიღო სოციალისტურმა მიმართულებაც და მისმა მოციქულებმაც.

მართლაც მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო.

რევოლიუციამ სოციალისტებს ჩააბარა სახელმწიფოს მართვა გამგეობაც და ხალხის ავკარგიც. ორი წლის სინამდვილე უკვე ნათლათ გვიჩვენებს, რაც ყოფილა სოციალისტური სულისკვეთება და ამ მიმართულებაზე საზოგადო საქმის აგება მოლაგება. ყველაფერი გადაკეთდა, ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი განახლდა, გაცახალისდა, სხვა სახით ჩამოყალიბდა, მაგრამ ყველაფერი ეს ლანდი და მოჩვენება შეიქნა.

ცხოვრებამ სოციალისტური არაფერი არ მიიღო. ცხოვრებამ ყოველი სოციალისტური ნაბიჯი დაგმო და დაამარცხა. ცხოვრების სინამდვილემ ყველაფერს სოციალისტურს ელფერი დაუკარგა და უშინაარსოთ დასტოვა.

სანამდი სოციალისტები ოპოზიციაში იყვნენ-მათ ნიადაგი ქონდათ, მაღალა ხელთ, ეპყრათ იმედი ახალისებდათ, სიმპატია ემატებოდათ და ნდობა თანდათან ჩნდებოდა.

მაგრამ როცა პოზიციაში ჩადგენ, სხვის ალაგზე დასხდენ, სხვისი საქმე იკისრეს, მუშაობა დაიწყეს და ერთი სიტყვით სახელმწიფოს საქმე ხელში აიღეს და მართვა გამგეობის ჩარხი დაატრიალეს, ყველაფერი შეიცვალა, პროგრამაც განიავდა და სიტყვებიც გაიფანტა.

სოციალიზმი გაქრა, სოციალისტები კი დარჩენ.

სოციალისტები მუშაობენ. მაგრამ სოციალისტურს კი ვერას აკეთებენ.

მოხდა ის, რაც მათი აზრით არ უნდა მომხდარიყო.

შეუთანხმდენ იმას, რის წინააღმდეგიც იყვნენ.

აი ეს არის ცხოვრების სინამდვილე; აი ასეთია ძლევამოსილი ხმა ცხოვრების აუცილებლობისა. სიტყვებს საქმე ასწორებს, თეორიას პრაქტიკა ამოწმებს. გამოცდილება ყველას სწორ გზაზე აყენებს...

მართალია ორმა წელმა მწარე წუთები გაგვაცდევია, მართალია ჯერ კიდევ განსაცდელში ვართ და ხიფათს არ ავცდენივართ, მართალია ჯერ კიდევ თვალწინ ბნელი უფსკრული გვიდგია, მაგრამ ის, რაც გამოვცადეთ აუცილებელი იყო, ის რაც თვალით ვნახეთ და გულით ვიგრძენით საჭირო იყო მისთვის, რომ ყველას დაფასება შეძლებოდეს, მეტი თვითგამორკვევა შეეძინოს და მომავალში მეტი წინდახედულობა ქონოდეს.

მართალია ხალხსაც ბევრი გაუჭირდა, ხალხიც მოტყუვდა, მაგრამ გამოცდილება იმასაც სჭირდება, სიფრთხილე თუ უწინაც ქონდა, დღეს კიდევ მოემატება. ესეც სარგებლობაა და კარგი მომავალის თავდები, ვინ არ იცის, რომ მწარე შრომა ტკბილ ნაყოფს იძლევა.

განა ცოტა რამ მოგვცა გამოცდილებამ? განა სხვა გზით შეიძლებოდა სოციალისტების გამტყუნება თუ არა მით რაც მოხდა?

ის რაც მოხდა ყველასთვის საჭირო იყო; თვით სოციალისტებმა საგულისხმო გაკვეთილი მიიღეს. იმათმა მოისმინეს საუკეთესო მასწავლებლის დარიგება. — ეს მასწავლებელი ცხოვრებაა.

სოციალისტური მოძრაობა სახელდახელო საშუალებაა რევოლუციის მოსახდენათ. სოციალისტური მოძრაობით უფრო ადვილია ამა თუ იმ წესწყობილების დაშლა, დანგრევა, მაგრამ [illegible] ბა და [illegible] ორგანიზაციის აღმშენებლობითი მუშაობა სოციალისტური გეგმით ყოვლად შეუძლებელია. ეს ბევრჯერ თქმულა, და ბევრგან დასაბუთებულა, მაგრამ ერთი ჯურის ხალხს მაინც არა სჯეროდა და მათ ბევრი გაუგებელი მიტომ ემხრობოდა, რომ საწინააღმდეგო მაგალითი ვერ წარმოედგინა.

დღეს კი სხვა სურათია.

დღეს უფრო ადვილათ დარწმუნდებიან, რომ სოციალისტური პროგრამა სახელმწიფოს მოწყობა, მართვა გამგეობაში სუსტი და მიუღებელია.

დღეს უფრო ცხადია, რომ პროფესიონალური კავშირების მართვა გამგეობაში ჩარევა სახელმწიფოს საქმეს აფუჭებს; რვა საათის მუშაობა ყოველ დარგში არ გამოდგება და ძალით მისი დაკანონება გამოიწვევს წარმოების დაქვეითებას და სიღარიბეს; ლმობიერი ზომები ავაზაკთა და მოღალატეთა წინააღმდეგ არ კმარა; სახელმწიფოს მართვა გამგეობაში პარტიული თვალსაზრისი მავნებელია; სახელმწიფო სამსახურში პარტიული უპირატესობა დამამხობელია; ხალხის დაიმედება და მისი აუსრულებლობა მეტათ სახიფათოა; სხვისი საკუთრების ადვილათ დარღვევა და ძალით ქონების განსაზოგადოება სულიერ განწყობილობას ახდენს და მთავრობას ავტორიტეტს უკარგავს; ყოველი უსამართლობა ხალხის თვალში მთავრობას სახელს უტეხს; მთავრობის მოხელის დაუდევრობა და სუსტი კონტროლი ხალხში უსიამოვნებას ბადებს; ბევრის მთქმელი და ცოტას მკეთებელი, თუნდა სოციალისტიც იყოს, ხალხში აუფალისწინებული იქნება; სიტყვით სოციალისტი და საქმით ბურჟუა ხალხში ზიზღს იწვევს; გაბურჟუებული სოციალისტი მოძღვრებას სახელს უტეხს და მართვა გამგეობაში ნდობას ვერ მოიპოვებს.

და ვინ იცის რამდენი რამე კიდევ დაგვანახა ამ ორმა წელიწადმა?...

გამოცდილებაც კარგია!

ტრიფონ ჯაფარიძე.

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა გურიაში

(საქ. დეპეშ. სააგენტო).

ოზურგეთიდან იტყობინებიან, 10 ნოემბრის თარიღით. დილის 9 საათამდე, მთელს გურიაში წესიერება აღდგენილი იყო. მიუხედავათ ამისა დილის 9 საათზე მთელი შეიარაღებული მცხოვრებნი, მილიციის და გვარდიის მეთაურობით, დაიძრენ ოზურგეთიდან ლიხაურის, ახალსოფელს და ჯუმათისაკენ, რომელნიც ითვლებიან ბოლშევიკური ბანდების ბუდეთ და ახლო მახლო ტყეებისაკენ, სადაც მათი აზრით უნდა იმალებოდნენ ბანდიტები. მცხოვრებლები დაჟინებით მოითხოვენ ბოლშევიკთა ბუდეების დანგრევას, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით საბოლოოდ აღმოიფხვრას ბანდიტების გამოსვლის შესაძლებლობა ამ ამბოხებამ ზედმეტათ დაამტკიცა გურიის ხალხის ერთგული თავდადება დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. ეს აჯანყება ჩააქრო ხალხმა იარაღით ხელში ადგილობრივ მთავრობის მეთაურობით.

სასალდათო პირების სამსახურში მიღების გამო.

რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს სასტიკათ ეკრძალათ სამსახურში მიიღონ ის პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ სამხედრო ბეგრიდინ თავისუფლობის მოწმობას.

ახალი სამინისტრო.

ამ დღეებში დაარსდება შრომისა და მომარაგების სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელს მთავრობის თავმჯდომარე დანიშნავს.

გადასახლება. ზურაბოვი და ფიროუმოვი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გადასახლებულ იქნებიან რესპუბლიკის საზღვრებიდან. ისინი დახურულ გაზეთის „სოციალ დემოკრატის“ თანამშრომლები იყვნენ.

—

მთავრობამ დაადგინა — ოზურგეთის სამაზრო ერობას სესხათ მიეცეს 7 წლის ვადით 3 მილიონი მანეთი ხუთ პროცენტის სარგებლით გურიათის ტყის დასამუშავებლად და ნაჭანების 6) ტყის ქარხნის შესაძენად. სესხის გადახდა აღნიშნულ ქარხნის დაგირავებით იქნება უზრუნველყოფილი.

„კერენკების გაუქმება“.

აზერბეიჯანის მთავრობის განკარგულებით ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში აღიკრძალა 40 მ. და 20 მ. კერენკების მიღება.

რკინის გზის მიმოსვლა ერევან თავრიზ შორის.

ამ მოკლე ხანში გაიმართება თავრიზ ერევან შუა რკინისგზით მიმოსვლა.

გენ 6 ბარათოვის მდგომარეობა.

გენ. ნ. ბარათოვმა უვნებლად გადიტანა რეამპუტაცია, რომელიც გაუკეთა ინგლისელ ექიმმა ბრაუნმა ექიმ ფროლოვის მონაწილეობით ბათომის ლაზარეთში. საზოგადოდ მი ი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია

სომხეთ საქართველოს ხელშეკრულების რატიფიკაცია

გიორგობისთვის 14-ის სხდომაზე, სომხეთის პარლამენტმა ერთხმად მიიღო სომხეთ — საქართველოს მიერ გიორგობისთვის 3-ს დადებული ხელშეკრულება. ყველა ფრაქციათა ორატორები დიდ აღფრთოვანებით აღნიშნავდნენ ხელშეკრულების დიდებით მნიშვნელობას.

გერმანია

(საქ. დეპეშათა სააგენტო)

შეიდემანი რევოლიუციის წლისთავისთვის.

რევოლიუციის წლის თავზე, ლვინ. 9, შეიდემანმა სიტყვა წარმოსთქვა ურიცხვი ხალხის წინაშე. შეიდემანის აზრით გერმანიის რევოლიუცია დაიწყო სტიქიურ და არა რომელიმე ძალის განზრახვით. ამის გამო სოც. დემოკრატიის ხელმძღვანელნი ფხიზლად უნდა შეჰვედროდნენ ფაქტს და მზათ უნდა ყოფილიყვნენ ყოველ შემთხვევისათვის, რათა სტიქიურ მოძრაობისათვის მიეცათ გარკვეული გზა და მიზანი. ისინი ეგრეც მოიქცნენ. შეიდემანი შეეხო აგრეთვე განხეთქილებას სოც.-დემოკრატთა შორის და განაცხადა, რომ საფრთხე მარჯვენა მხრიდან უფრო სერიოზულია, ვიდრე მარცხნიდან, მაგრამ ისიც საპნის ბუშტივით გაჰქრება, უკეთუ გერმანიის დემოკრატია ერთსულოვნებას გამოიჩენს. შეიდემანი შეეხო აგრეთვე 1918 ნოემბერის კრიტიკულ დღეებს და განაცხადა: „9 ნოემბერს მე და ებერტმა ხელი გაუწოდეთ დიტმანსა და ჰოფტჰერს, ჩვენ შორის თითქმის მიღწეული იყო შეთანხმება, როცა ოთახში ლიდებური შემოვიდა. როდესაც ის ჩამოერია მოლაპარაკებაში, სწორედ მაშინ გამოირკვა მათი ჩვენდამი მტრული განწყობილება და მაშინ დაიწყო ჩვენს წინაამდეგ ლიბავშეხტის გამოსვლაც. საღამოს ჩვენ მათთან გვქონდა კვლავ ცხარე კამათი და მოლაპარაკება და აი სწორეთ მაშინ წარმოგვიდგინეს მათ განსაცვიფრებელი მთავრობა სადაც ყოველივე ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავიდოდა. ერთად ერთი კაცი, რომელსაც ჩვენთვის დახმარების აღმოჩენა შეეძლო ჰააზე იყო, რომელიც სასიკვდილო სარეცელზე წევს მაგრამ ის იმ ჟამად არ აღ ოჩნდა დამოუკიდებელთა შორის.

ამავე საღამოს ცხარე სიტყვა წარმოსთქვა შეიდემანის შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ ლედებურმა, ის თავს იმართლებდა ბრალდებისაგან. რომ მას გამოეპარა რევოლიუცია, რაზედაც ლედებურმა განაცხადა: მე იმ დროს სამკითხველოში შევრჩი წიგნის კითხვას. შემდეგში ლედებურმა ისარგებლა ჰომო ჰააზეს დაჰერით და თუმცა აშკარა იყო ჰააზეზე თავდასხმის მიზანი, მაგრამ მაინც სცადა ეჭვი სხვა მხრივ გადაესროლა, მან განაცხადა: საკვირველია, რომ ჰააზე რეიხსტაგის წინ დასჭრეს სწორედ იმ დროს, როცა მას მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვა უნდა წარმოეთქვა.

მფრინავი ფოსტა.

გაიხსნა მფრინავი ფოსტის მიმოსვლა ბერლინსა და რვა დიდ ქალაქთა შორის გერმანიაში.

გერმანიის დელეგატები მუშათა კონფერენციაზე

გერმანიის დელეგატები მუშათა კონფერენციაზე დაუშვეს. მაგრამ გერმანიის დელეგატები მატარებლების მიმოსვლის შეწყვეტის გამო ჯერაც არ წასულან, და წასვლასაც ვერ შესძლებენ 21 ნოემბერზე ადრე.

(საქ.).

საფრანგეთი.

(საქ. დეპ. სააგენტო)

მანდელის კანდიდატურა

კლემანსოს სეკრეტარმა მანდელმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა საფრანგეთის პალატის დეპუტატობაზე მომავალ არჩევნებში. ბორდოში სიტყვის წარმოსთქმის დროს მან ზოგიერთი რამ გაამჟღავნა. კლემანსო მართალია არ იღებს მონაწილეობას არჩევნებში, მაგრამ მას იმედი და სურვილი აქვს მთავრობის თავმჯდომარედ დარჩენისა. კლემანსოს სურდა კონფერენციის სხდომები ღია ყოფილიყო, მაგრამ ვილსონი წინააღუდგა ამ განზრახვას და ვილისონმა ლოიდ ჯორჯიც აიყოლია. მანდელის სიტყვით, პანლევეს, მისი კაბინეტის დაცემის დროს განზრახული ჰქონდა გერმანიასთან შეთანხმება და ამავე მიზნით ბრიანი ავსტრიას უნდა მოლაპარაკებოდა.

(საქ)

ახალი ამბავი

ქუთაისი.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორიდგან. გაზ. „ჩვენ ქვეყნის“ რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერლებს გამოგზავნონ გაზეთის ფული რადგან გაზეთის გამოცემა დიდ ხარჯებს მოითხოვს, რედაქცია იძულებული იქნება გაზეთის გაგზავნა შეუწყვიტოს იმ პირთ რომლებიც ანგარიშებს არ გაასწორებენ.

✦ **გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციისგან.** გვჭირდება გამოცდილი ხორონიკორი, პირობების გასაგებად მიმართეთ, ჩვენი ქვეყნის“ რედაქციას.

✦ **„ჩვენი ქვეყნის“ კორესპონდენტებს** რედაქცია სთხოვს კორესპონდენტებს სისტემატიურად მიაწოდონ კორესპონდენციები, წინაღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა შეუწყდებათ.

✦ **მადლობის გამოცხადება.** საწირის სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს აპოლო ჭირჩხიძეს, რომელმაც სამკითხველოს შესწირა გაზეთის ჩარჩოები, 250 მ. ღირებული.

✦ **ანტისანიტარობა.** ქალაქის თვითმართველობის სანიტარიის მეთვალყურეებმა ოქმები შეუდგინეს სიბინძურისთვის. ფერმის ქუჩაზე მცხოვრებთ: 1) მეფურნე დიოგენ ასლანიდის, რომელსაც ბინძურათ ქონდა ის ოთახი რომელშიდაც ის ქბილს ზელს. ქვრივ ნიფადორე ჩოგოვაძისას, 3) აკაკი ტყავაძეს ეზოს სიბინძურისთვის 4) მღ. ნესტორ გვენცაძეს, 5) მიხეილ ბლიუმზაკს და 6) ბიქტორ ელიგაროვს.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრი** საყვარელიძე თბილისში გაემგზავრა სურსათის შესაძენად.

✦ **სიმინდის ფასი.** სილნალიდან ქუთაისის ერობას ატყობინებენ რომ იქ ფუთი სიმინდი ხუთი თუმნიდან შვიდ თუმნამდე ფასობს.

✦ **სტატისტიკურ კურსებზედ** ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ სტატისტიკურ კურსებზე გაგზავნა ლეონტი გიორგ[illegible] და ალექსანდრე შავერდაშვილი.

✦ **ცეცხლი.** 11 ნოემბერს ცეცხლის გაუფრთხილებლობის გამო დაიწვა სოფელ წყალტუბოში მცხოვრებ ვარლამ ირ. იოსელიანის სახლი.

✦ **ბოროტმოქმედების აღმოჩენა.** წასულ კვირაში გაცარცვეს ბალახვანის ქუჩაზე სახამბერიძის სავაჭრო და შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო. მილიციამ ბოროტ-მოქმედები აღმოაჩინა ვინმე კაჰახიძე და მახარაძე. რომლებსაც ხელუხლებლათ აღმოაჩნდათ წაღებული ნივთები.

ძველი ქართული გალობის აღდგენა.

ამ ჩვენი პოლიტიკურათ აღდგომისა და კულტურულათ აღორძინების ხანაში უეჭველათ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქართული გალობის აღდგენის საქმესაც, მოგეხსენებათ, რომ ჩვენის დევნისა და მონობის დროს ქართული გალობა უაღრესათ დევნილი და განდევნილიც იყო ჩვენის ეკლესიებიდან. ჩვენდა სასირცხოთა და საკდემელათ უნდა ითქვას, რომ თვით ჩვენ უგულებელს ვყოფდით მას. ჭრელი წირვა ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა ჩვენში — და არ იქნა დღემდი ვერ გავთავისუფლდით ამ დუხჭირი მოვლენისაგან, მართალია, სლოვენურ ასამაღლებელს ადგილი აღარა აქვს ჩვენს ეკლესიაში, მაგრამ ეს შერეული გალობა, კახურ — სლოვენურ — რუსულ — იმერულ და ვინ იცის კიდევ საიდან გადმოტანილი კილოებით შეზავებული ქართველი ადამიანისა და ისიც მორწმუნე ადამიანის სმენასა და რწმენას უაღრესათ შეურაცხყოფს — ვისაც ჩვენი ძველი გალობა მოუსმენია მცოდნე მგალობელთაგან ნათქვამი, ის მის შეკვეთებასა და „შეპაჩინკებას“, როგორც ამას ახლა შვრებიან ვერასოდეს შეურიგდება! რა სათქმელია, ან რა მისაღები ამ ჩვენი მეტად მდიდრული, ფრიად კეთილხმოვანისა და ღრმად სარწმუნოებრივ შინაარსიანი გალობის შელესვა?!. ჩვენს ძველებს, რომელთაც გასაოცარი სახუროთმოძღვრო ხელოვნების ძეგლები აუგიათ, მდიდარი ლიტერატურა შეუქმნიათ და ქართული ენის დიადობა უმწვერვალესობამდი აუყვანიათ, იმავე დროს შესანიშნავი გალობაც შეუმუშავებიათ და ჩვენთვის უანდერძებიათ. ვაი ჩვენ, რომ ამ განძით ვერ ვსარგებლობთ!.. მაგრამ, მადლობა ღმერთს, — თითო — ოროლა გულშემატკივარი კიდევ ყოლია ამ ჩვენს ეროვნულს საუნჯეს, და ესენი ცთილობენ მთელი სიმშვენიერე ძველის ქართული გალობისა აღადგინონ და ქვეყანას დაანახვონ, თუ რის პატრო-

ნნი ვყოფილვართ ჩვენ! მ. პლატონ ცქიტიშვილი უკვე შესდგომია ამ საქმეს, მოუწვევია მსურველნი და ყოველ საღამოს მთავარ-ანგელოზის ეკლესიის სამრეკლოს ქვეშ გაისმის ძველი საღმთო ღაღადება! აბა შეიარეთ და დაუგდეთ ყური როგორის გულმოდგინებით, გატაცებითა, სიყვარულითა და საქმის ღრმა შეგნებით ასრულებენ ესენი თავის საქმეს!.. აქ მ. პლატონის გვერდით სულ ერის კაცები შემოკრებილან და ესენი არიან ჩვენი ხალხის შეურყვნელი და რწმენა—შეულახველი შვილები: შრომობენ, ილვწიან ეს ჩვენი მუშაკნი, ემსახურებიან დიდს ეროვნულ საქმეს, შეუკრებიათ უძველესი საგალობლები—ტროპარ—კონდაკები, იამბიკოები და სხვა მრავალი, სწავლობენ მათ გატაცებით, ღრმა სიყვარულითა და შეგნებით. თვითოეულის მათგანის სახეზე ღრმა სულიერი კმაყოფილების ბეჭედია აღნიშნული!.. მაგრამ ეს არ კმარა!.. მ. პლატონი და მისი გუნდი ყოველ საღამოს იკრიბებიან და ილვწიან,—ჩვენ რას ვაკეთებთ ამ შემთხვევაში? რით ვეხმარებით ამ საშვილიშვილო საქმეს? არის ჩვენის მხრით დახმარება, გამხნევება და წაქეზება ან სიტყვით, ან საქმით? ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საზოგადოება პირველ მოწოდებისათანავე ამ საშვილიშვილოსა და დიდს ეროვნულ საქმეს დახმარების ხელს გაუწოდებს. ჩვენი წინაპრები ამ ხმებით უგალობდენ ზენაარსს, ამითვე შეიმსუბუქებდენ ჭირსა და მოილხენდენ ლხინს, აქ ჰპოებდენ დიდ სულიერს კმაყოფილებასა და აღიჭურვოდენ უმაღლესი სულიერი განცდითა და ენერგიით;—ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ზნეობრივ-მატერიალურ დახმარებას ნუ მოვაკლებთ ამ ჩუმ მუშაკთ და ამ დიდ ეროვნულ საქმეში ჩვენი წვლილიც შევიტანოთ.

ერის კაცი.

პატარა ფელეტონი

(პოეტი ივანე მუშა).

(დასასრული იხ. „ჩვ. ქვეყ“. № 203.)

დღემდის ასრე ვანგარიშობდი: მენშევიკებმა გაგვაკოტრეს, ბოლშევიკები სულ გაგვსწყვეტენ, რუსი რომ მობრუნდეს, სულ ერთიანათ მოგვსპობს, ინგლისი სულს ამოგვახთენს ეკონომიურათ, და არსაიდან არ სჩანდა საშველი.

მეტი ხიფათი ჩვენ მოგველის ევროპიელებისაგან, მაგრამ როდესაც ივანე მით გაიოცებს თავისი ჰამით, მაშინ იტყვიან: „რა გაუმაძღრები ყოფილან ქართველები! ამან მაგათთან ერთობისაგანო“ და შევიქნებით „დამოუკიდებელნი“.

დრო არის გავეცნოთ ივანეს ლექსებს.

ნეტავ გათავდეს ბარემღა
ჩვენი ქვეყნისა არევა,
ახალ ფულს არ აქვს ფაიდა,
ძველი რაც იყო წავიდა.

—

პური ფურნეში გაგვიწყვა,
ჭადი ასვრილი ტინტყლია,
შიმშილით გადაშენებას
ბევრი აჰარა გვიკლია.

ამისთვის ივანეს დასჯიან, ვითარცა ურჩს რეაქციონერს და იმ დეკრეტის, რომელიც ბრძანებს.

„მოთმინებით, მოთმინებით!
„გასოციალისტდებით
„და კარგად შეიქნებით!“

ბატონებო! ხედავ[?] ივანე, რომ ვისიც კი შეიძლებოდა გასოციალისტება, ისინი უკვე გასოციალისტდენ და გათავდა.

იგინი მთავრობას შეადგენენ და არც არასფერი აწუხებს მათ.

ივანე ხალხის გულის კვნესის გამომხატველია.

რა ყრია ამ სოციალისტობაში, თუ ხალხი ერთი მეორეს მტრობით გასწყვეტს ან შიმშილით გასწყდება?!

როგორც გერცენი მოგვითხრობს, იყო გამომძიებელთან წარმოებაში ერთი დაუთავრებელი საქმე: „О перечисленіи крестьянского мальчика Василія въ женскій полъ“.

ამის მზგავსი იქნება ქართველების გადარიცხვა სოციალისტებში.

მოგახსენებთ „ნამდვილი“ სოციალისტობას, თორემ მუქთა მჭამელობის სოციალისტობა ხომ წინეთაც იყო.

ივანეს პირით ხალხი სჩივა:
ხუთ მანეთს რით მივცემ ხაშში,
შაურს რომ ვაძლევდი ჯამში?!

—

ვეღარ იშოვა მეხაშემ
წინანდელ რიგზე ფაშფუშა,
საყოველთაო სიძვირემ
ხაშის საქმეცა ჩაფუშა.

—

ხორცს დააწონეს თავფეხი,
ყასპებს დაეცეს თავს მეხი!

—

არტალას ხორცათ გასყიდვა
აბა ვის გაუგონია,—
უსინიდისო მოვაჭრე
სწორეთ ნამდვილი ღორია.

მე თქვენ გთხოვთ, არ ინებოთ ივანეს გაკიცხვა რატომ ხაშს და არტალას ამსახურებს თავის ჩანგსო.

წავიდა ის ჰსევდო კლასიკური ხანა, როცა პოეზია დიდი არისტოკრატების გრძნობებს ასურათებდა კეთილშობილურის მხრით და ხალხის წარმომადგენელი ყოველთვის სასაცილო როლში იყო.

საზოგადოთ დემოკრატიზაცია ივანესაც ნებას აძლევს თავის გულის ტკივილი გამოხატოს დემოკრატიულათ.

თბილისში, „დვორეცში“ შეუძლიათ მუზა ხიზილალას ამსახურონ, მაგრამ ხიზილალა აქ მოდის და სხვაგან არა, თითქო ჩვენ კი გვაწყემდეს.

„ხუცეს მაძღარსაო დიაკონიც მაძღარი ეგონაო“.

გაიგონ დალოცვილებმა, რომ ჩვენ ხაშიც კი გვენატრება და რა ჯიუტობა არის საქართველოს გასოციალისტება, როცა ჯერ ჩვენზე მეტი და გარდამეტი განათლების ხალხი არ გასოციალისტებულა.

აღარ არის შეწყალება და კიდევაც ამიტომ ივანე სჯის და შეთთავს:

ნეტავი მდიდარი ვიყო,
ღარიბს კი უგდებდი ყურსა
დღეს, რომ შებრალება გაქრა,
ღმერთმა ნუ ქნას ისე ნურსა.

— —

ვისაც დასვამ ზემოს თავში,
თურმე ის გაბატონდება,
ვინც მას უდგა წინეთ მხარში,
ის კი აღარ აგონდება.

— —

ვინც, რომ ავიდა მაღალზე,
სულ კუდი გასდვა ყავარზე,—
ხალხი დარჩა მშიერ შიშველი
და არავინ ყავსთ იმას მიმშველი.

სინამდვილე ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობის სწორეთ შიმშილი და სიშიშვლეა, ამიტომ ივანეს მოაგონდება დენიკინი:

ამბობენ, რომ დენიკინი
მალე აიღებს მოსკოვსო,
და მოკლე ხანში ერთბაშათ
ბოლშევიკებსა მოსპობსო.

— —

თუ ეს გამოდგა მართალი,
მაშინ მოგვივა ბევრი ფართალი.

თუ ივანე მუშა პოეტი ხალხის გრძნობების გამომხატველია, დაიჯერეთ, რომ ხალხს მისი გამარჯვება უნდა ვინც მოუვლის მას.

მაგრამ ივანე ქართველი კაცია და ძორის ნებიერობისათვის სამშობლოს ვერ უღალატებს.

უფიქრდება ივანე შედეგს დენიკინის გამარჯვებისას და ფიქრობს, რომ, სამშობლოს ხიფათი მოელის, ამიტომ სულ ქვას და ლოდს აყრის დენიკინს:

ამბობენ, რომ დენიკინი ემზადება,
შემდეგ ჩვენკენ ემგზავრება.

— —

უჯობს, რომ ხელი აიღოს
თფილისსა და ქუთაისზე,
თორემ ამოუძუებენ
შეაჯენენ კუდა ვირზე.

— —

ჩვენი ყველას ეშინია,
ამერიკას და თვით ინგლისს,—
მათი ჯარი დღეს, რომ მოვა,
ხვალ ხედავ და უკარ მირბის.

ივანეს არც დენიკინის ეშინია, არც ამერიკა და ევროპის, რადგან იცის, რომ იგინი აქ ფეხს ვერ მოიკიდებენ.

თუ არ იცის, ასთე რწამს მაინც და ეს რწმენა მისი მამულის სიყვარულზე არის დამყარებული.

მტრებთა რიცხვში ივანეს სომხები მოაგონდება.

ივანე ხალხიდან არის, პოლიტიკის არა ესმის რა და პირადათ სომხებთან შური და მტრობა არა აქვს.

უკვირს ივანეს სომხების მტრობა:
ამ სომხებს კი რაღა უნდა,
ჩვენი [illegible]
ივა[illegible]
თორემ გაგვშორდენ, წავიდენ,
ზურგში მოიკიდონ გუდა.

შედის თანდათან ივანე პატრიოტულ ექსტაზში და უქადის ცისრისხვას, ვინც მისი მამყოლი არ იქნება:

დავით-კონსტანტინემ რისხოს,
გაუწყრესთ მათი მადლია.
თუ სამშობლოს არ შეეწირონ,
ვისაც კი რამ აბადია!

კუჭის ნიადაგზე წარმოშობილი სოციალიზმი ისთე შორს არის პატრიოტულ მაღალ გრძნობებზე, როგორც მიწა ზეცასთან.

ქართველმა ხალხმა დავით და კონსტანტინე წმიდანებათ მიტომ იწამეს, რომ ამ თავადებმა სამშობლოს თავი შესწირეს.

ივანე დარწმუნებულია, რომ ნოე ჟორდანია სამშობლოს იცავს, ამიტომ ლექსს ასე ათავებს:

ვინც სამშობლოს არ ივიწყებს,
ის ღმერთმან დიდს ხანს აცოცხლოს,
და ვინც სამშობლოს ივიწყებს,
ის ყველა ერთათ დასკოცხოს!

— —

დღეგრძელობა ჩვენს მეთაურს,
ჩვენსა ნოე ჟორდანიას,
ჭირი ღმერთმა ააშოროს,
გაატანოს ქარს და ნიავს!

P. S მართალი მოგახსენოთ, რომ ივანეს გაცნობის შემდეგ მეც მომხრე ვარ მისი, რომ კი შეუძლია ნაყოფიერი სამსახური დაწესებულებებში ისეთს პირს, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, ესე იგი: უნამუსო ნასწავლს ნამუსიანი უსწავლელი სჯობია.

ივანე რამდენ ჩაფს წყალს მოიტანს, იმოდენს ნახშირით ხაზს ჩამოუსვამს, კედლები კი დასვარა, მაგრამ ანგარიში სწორი აქვს: არც თავს იტყუებს, არც მუშტარს ატყუებს.

მიიწვიეთ ივანე სამსახურში და იხსნით რესპუბლიკას ზარალისაგან, ნასწავლ მოხელეებს თავსლაფ დასხმისაგან.

ივანეს ესეც გალექსილი აქვს:
ვისაც რამე ჩავაბარეთ,
ანგარიში აღარ გვითხრა;
დახლში ფული ჩავალაგეთ,
ამოგვიხტნა ნაცვლათ ვირთხა.

— —

სწორეთ სხვა რიგი დრო დადგა
ჰოი, შალამ და გიდაი,
სხვისი ქონების გაბნევა,
ყველას ფეხებზე კიდია!

კალლისტრატე ჩიქვაიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

იყიდება 1 „სხეტჩიკი“ და სხვა და სხვა ავეჯეულობა მისამართი: თბილისის ქუჩა დ. აბდუშელიშვილის სახლი. 2—1.

სტამბა ნ. ფურაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.